პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ.წყალტუბო მარტი, 2024 წელი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 ივლისის №13 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.122.016147. 29/07/2013) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5.

ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილება დელეგირებული აქვს **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს“ (ს/კ 421283113).“**

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ოქმის ფორმების დაბეჭდვის ორგანიზებასა და ფორმებით მომარაგებას ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“ (ს/კ 421283113) „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ (ს/კ 421283113) ოქმების შენახვას, დაცვას და გაცემას, შესაბამისი პროცედურების დაცვით, უზრუნველყოფს ამ ფორმების აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი (ერთ-ერთი თანამშრომელი). ''

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილ თანამშრომლებზე ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც უნდა იყოს დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და დამოწმებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ (ს/კ 421283113) მმართველის ხელმოწერით.''

4. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.“

5. დადგენილებით დამტკიცებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2) ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა: ნ.მჟავია

შეთანხმებულია: ბ.ყურაშვილი

ვ.ნადარეიშვილი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ო ქ მ ი

№000000

ოქმის შედგენის თარიღი: „———“ „——————“ 20 წ. ოქმის შედგენის ადგილი: ----------
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ უფლებამოსილმა პირმა ----------
---

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

შევადგინე ეს ოქმი იმის თაობაზე, რომ 20 წლის „——“ „——————“ გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი შემდეგ მისამართზე: ----------
ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილია ----------

(ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, მისი გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი)

(იურიდიული პირის დასახელება, მისი წარმომადგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, მისი გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი)

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი: ----------

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომლის თაობაზეც შედგენილია ეს ოქმი, განისაზღვრება ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის'' 148-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და 240-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. სამართალდარღვევის ჩამდენს განემარტა ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის'' 252-ე მუხლით განსაზღვრული მისი უფლებები და მოვალეობები.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მოწმეები (თუ მოწმეები არ არიან, კეთდება შესაბამისი აღნიშვნა):

1. ----------
(სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, მისი გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი)

2. ----------
(სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, მისი გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი)

ოქმს ერთვის / არ ერთვის სამართალდარღვევის ჩამდენის ახსნა-განმარტება: ----------
---

ხელმოწერები:
ოქმი შევადგინე: ----------
სამართალდამრღვევი:----------
მოწმეები:
1. ----------
2. ----------
ოქმს გავეცანი, ასლი ჩავიბარე: ----------
შენიშვნა: ----------
დამკვეთი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“
დამამზადებელი:
სემგს-ს რეგისტრაციის №

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

25/03/2024

MES 7 24 0000348902

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში თქვენი N 48-482408115; 21.03.2024 წერილით (სამინისტროში რეგისტრაციის N335561; 21.03.2024) ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შესათანხმებლად განმეორებით შემოვიდა „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის“ ფორმის ნიმუში.

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განხილულ იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტის ფორმის ნიმუში და მის ენობრივ სისწორესთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

დანართი: 1 გვერდი
პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
პაპუკაშვილი ნოდარ

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482408752**
თარიღი: **27/03/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 ივლისის N13 დადგენილებით დამტკიცებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა ექვემდებარება შეცვლას, კერძოდ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით (თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა - ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილება დელეგირებული ჰქონდა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას '' (ს/კ421277772), რომელმაც განიცადა რეორგანიზაცია .

გამომდინარე აქედან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას ესაჭიროება ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად ხელახალი რეგისტრაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" (ს/კ 421283113) მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

გამომდინარე აქედან, გთხოვთ განიხილოთ ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის'' 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2013 წლის 26 ივლისის N 13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი, რათა აღნიშნულის შემდეგ მოხდეს ოქმის ფორმის რეგისტრაციაში გატარება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში .

ამასთან, შესაბამისი ცვლილება განხორციელდა ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქ. წყალტუბოს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის № 76 დადგენილებაში და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენ სუბიექტად უნდა განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი" (ს/კ 421283113).

გიგზავნით, შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილს შეთანხმების თაობაზე.

გთხოვთ, განიხილოთ საკრებულოს სხდომაზე.

დანართი ,, 7'' ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge